

წესი 3526(ბ), აუდიტის კომიტეტების ინფორმირება დამოუკიდებლობის თაობაზე

ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საჯარო კომპანიების ბუღალტრული აღრიცხვის ზედამხედველობის საბჭოს (PCAOB-ის) პერსონალის მიერ მომზადებულ PCAOB-ის 3256 წესის (PCAOB Rule 3256 – Communication with Audit Committees Concerning Independence) – “აუდიტის კომიტეტების ინფორმირება დამოუკიდებლობის თაობაზე” - გზამკვლევს, 3526(ბ) წესის გამოყენებისას გარკვეულ გარემოებებში გაჩენილი კითხვების საპასუხოდ. აღნიშნულ გზამკვლევში (1) მოცემულია 3526(ბ) წესის მოკლე მიმოხილვა და ზოგადი ინფორმაცია; (2) აღწერილია გზამკვლევის მიზანი; და (3) რეგისტრირებული აუდიტორული ფირმებისთვის მოცემულია კონკრეტული მიმართულება, თუ როგორ შეასრულონ 3526(ბ) წესით გათვალისწინებული ვალდებულებები ქვემოთ აღწერილ გარემოებებში. რეგისტრირებული აუდიტორული ფირმებისთვის მიმართულების მიცემის გარდა, წინამდებარე გზამკვლევი შესაძლოა სასარგებლო იყოს სხვა შესაბამისი მხარეებისთვისაც, როგორებიცაა, მაგალითად, აუდიტის კომიტეტები და ინვესტორები.

რას მოიცავს

- ✓ ზოგადი მიმოხილვა
- ✓ მოკლე მიმოხილვა და ზოგადი ინფორმაცია
- ✓ მიზანი
- ✓ პერსონალის კითხვა-პასუხი

მოკლე მიმოხილვა და ზოგადი ინფორმაცია

წესი 3526(ბ) ითვალისწინებს, რომ რეგისტრირებული აუდიტორული ფირმა (შემდგომში - ფირმა) ვალდებულია, სულ მცირე წელიწადში ერთხელ, აუდიტის თითოეულ დამკვეთთან მიმართებით:

1. დამკვეთის აუდიტის კომიტეტს წერილობითი სახით მიაწოდოს ინფორმაცია ფირმას ან ფირმასთან აფილირებულ ნებისმიერ პირს და აუდიტის დამკვეთს ან დამკვეთის ფინანსურ ანგარიშგებაზე საზედამხედველო ფუნქციების მქონე პირებს შორის ყველაწინააღიწინი სახის ურთიერთობის თაობაზე, რომლებიც ამგვარი კომუნიკაციის თარიღისთვის, შესაძლოა, გონივრულ ფარგლებში, მიჩნეულიყო დამოუკიდებლობაზე გავლენის მქონედ;
2. დამკვეთის აუდიტის კომიტეტთან განიხილოს (ბ)(1) პუნქტში აღწერილი ურთიერთობების მოსალოდნელი შედეგები ფირმის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით;
3. დამკვეთის აუდიტის კომიტეტს წერილობითი ფორმით დაუდასტუროს, რომ კომუნიკაციის თარიღისთვის, ფირმა PCAOB-ის 3520 წესის - „აუდიტორის დამოუკიდებლობა“ - შესაბამისად (Rule 3520) დამოუკიდებელია; და
4. დოკუმენტურად დაადასტუროს დამკვეთის აუდიტის კომიტეტთან გამართული განხილვების შინაარსობრივი მხარე.

3520 წესში აღნიშნულია, რომ მთელი აუდიტისა და პროფესიული გარიგების პერიოდის განმავლობაში, ფირმა და მასთან ასოცირებული პირები ფირმის აუდიტის დამკვეთისგან დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ, რაც აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების კომისიისა (SEC) და PCAOB-ის დამოუკიდებლობის კრიტერიუმების დაკმაყოფილებას გულისხმობს.

წინამდებარე გზამკვლევი შეიმუშავა PCAOB-ის პერსონალმა 2019 წლის 31 მაისს. გზამკვლევი არ ადგენს საბჭოს წესებს და არ ასახავს საბჭოს გადაწყვეტილებებს ან განსჯას რომელიმე კონკრეტული ფირმის, აუდიტორის ან სხვა პირის ქცევის შესახებ. ასევე, იგი არ წარმოადგენს საბჭოს განაცხადს და აუცილებელი არ არის ასახედეს საბჭოს ან ამ საბჭოს ცალკეული წევრის შეხედულებებს.

SEC-ი ამ კრიტერიუმებს ძირითადად განსაზღვრავს 2-01 წესით (Rule 2-01 of Regulation S-X), რომელიც ეხება როგორც დამოუკიდებლობის ზოგად სტანდარტს (Rule 2-01(b)¹), ასევე კონკრეტულ გარემოებებში ზოგადი სტანდარტის გამოყენებას (Rule 2-01(c)²). PCAOB-ი კი ამ კრიტერიუმებს ძირითადად განსაზღვრავს 3500T - 3526 წესებით (Rules 3500T - 3526)

საბჭომ წესი 3526 (Rule 3526) 2008 წელს მიიღო. წესის მიღებისას, საბჭომ აღნიშნა, რომ 3526(ბ) წესის მიზანია ფირმამ „აუდიტის კომიტეტს წარუდგინოს საკმარისი ინფორმაცია, რათა ერთი მხრივ ნათელი წარმოდგენა შეუქმნას იმის თაობაზე თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული სახის ურთიერთობას დამოუკიდებლობაზე და, მეორე მხრივ ხელი შეუწყოს ფირმასა და აუდიტის კომიტეტს შორის ჯანსაღი მსჯელობის წარმართვას.“³

მიზანი

PCAOB-ის ინსპექტირების პერსონალი აღნიშნავს, რომ ფირმებმა მაინც შეძლეს თავიანთი დამოუკიდებლობის დადასტურება 3526(ბ)(3) წესის შესაბამისად იმ კონკრეტულ სიტუაციებში, რომლებშიც მათ დარღვეული ჰქონდათ ერთი ან ერთზე მეტი დამოუკიდებლობის წესი.⁴ აღნიშნული სიტუაციები საზოგადოდ მოიცავდა ქვემოთ მოცემული ფაქტობრივი გარემოებების თითოეულ ელემენტს:

- ⊙ **ფირმამ განიხილა დარღვევის ძირითადი გამომწვევი მიზეზები.** ფირმამ დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტები და გარემოებები გააანალიზა და 3526(ბ)(3) წესის შესაბამისად ინფორმირებამდე და აუდიტორის დასკვნაზე ხელის მოწერამდე განიხილა ის ძირითადი გარემოებები, რამაც გამოიწვია ეს დარღვევა.

მისი ანალიზის საფუძველზე, მათ შორის იმ დასკვნის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც დარღვევას არ ექნებოდა მუდმივი ეფექტი, ფირმამ დაადგინა, რომ (i) დარღვევა იყო ისეთი ხასიათის, რომ ფირმამ მაინც შეძლო გამოეყენებინა ობიექტური და მიუკერძოებელი განსჯა გარიგების ყველა საკითხთან მიმართებით⁵ და (ii) ყველა შესაბამისი ფაქტისა და გარემოების მცოდნე კეთილგონიერი ინვესტორი დაასკვნოდა, რომ ფირმას შეეძლო გამოეყენებინა ობიექტური და მიუკერძოებელი განსჯა გარიგების ყველა საკითხთან მიმართებით.⁶

მეორე მხრივ, თუ ფირმას დარღვევა ბოლომდე არ ჰქონდა გამოსწორებული, მას მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, რომ ფირმის ობიექტურობა და მიუკერძოებლობა არ დარღვეულიყო და იგი იმყოფებოდა დარღვევის გამოსწორების გეგმის განხორციელების პროცესში.⁷

¹ წესი 2-01(ბ)-ში, შესაბამის ნაწილში, აღნიშნულია, რომ „აუდიტის დამკვეთთან მიმართებით, კომისია ბუღალტერს დამოუკიდებლად არ აღიარებს თუ ბუღალტერს არ შეუძლია, ან ყველა შესაბამისი ფაქტისა და გარემოების მცოდნე კეთილგონიერი ინვესტორი დაასკვნოს, რომ ბუღალტერს არ შეუძლია ობიექტური და მიუკერძოებელი მსჯელობის განხორციელება გარიგების ყველა საკითხთან მიმართებით“.

² იხილეთ წესი 2-01-ის წინასიტყვაობა; იხილეთ აგრეთვე წესი 2-01(გ) (სადაც აღნიშნულია, რომ „წინამდებარე პუნქტი განსაზღვრავს იმ გარემოებების ზოგად სპეციფიკაციებს, რომლებიც არ შეესაბამება ამ განყოფილების (ბ) პუნქტს“). PCAOB-ი ასევე ითვალისწინებს SEC-ის შესაბამის გამოცემებს და 2-01 წესთან დაკავშირებით SEC-ის პერსონალის მიერ მომზადებულ გზამკვლევს. იხილეთ, მაგალითად, გამოცემა No. 33-7919 – *Revisions of the Commission's Auditor Independence Requirements* - (2000 წლის 21 ნოემბერი) და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკის კოდიფიკაცია, მე-600 და მის შემდგომ განყოფილებებში.

³ იხილეთ PCAOB-ის გამოცემა 2008-003 (2008 წლის 22 აპრილი), გვერდი 6.

⁴ ამ დარღვევიდან ბევრი დაკავშირებულია S - X რეგულაციის 2-01(გ) წესით (Rule 2-01(c) of Regulation S X) გათვალისწინებულ ერთ-ერთ კონკრეტულ აკრძალვასთან (მაგ., 2-01(გ)(1) წესით აკრძალულია ფინანსური ურთიერთობის არსებობა პროფესიული გარიგების გარკვეული პერიოდის განმავლობაში). PCAOB-ის დამოუკიდებლობის წესებთან დაკავშირებული სხვა დარღვევები (მაგ., 3523 წესით აკრძალულია ფინანსური ანგარიშგების სახედამხედველო ფუნქციების შემსრულებელი პირის მიერ გარკვეული საგადასახადო მომსახურების შესრულება).

⁵ ზოგჯერ, დასკვნა იმის შესახებ, რომ დარღვევა არ დაკავშირდება ფირმის უნარს გამოიყენოს ობიექტური და მიუკერძოებელი განსჯა გარიგების ყველა საკითხთან მიმართებით, შესაძლოა არ იყოს გონივრული (მაგალითად, აუდიტის დამკვეთის ფინანსურ ანგარიშგებაზე ან ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლის სისტემაზე აკრძალული ისეთი არააუდიტორული მომსახურების გაწევით გამოწვეული მუდმივი ზემოქმედების/გავლენის გამო, როგორცაა აუდიტის დამკვეთის ფინანსური ინფორმაციის სისტემის შემუშავება და დანერგვა). ასეთ შემთხვევაში, ფირმამ შესაძლოა ვერ დაასკვნას, რომ მას შეუძლია ობიექტური და მიუკერძოებელი განსჯის გამოყენება.

⁶ შდრ. წესი 2-01(ბ), ზედა შენიშვნა - 1.

⁷ ასეთ გარემოებებში შესაძლოა შედიოდეს, მაგალითად, ურთიერთობიდან გასვლის შესახებ სასამართლოს დასტურის საჭიროება, რომელზეც მიმართვა გაკეთებულია, მაგრამ ჯერ არ არის მინიჭებული. თუმცა, ამ შემთხვევაში, ფირმისგან მოსალოდნელია, რომ მას სრულად ჰქონდეს გააზრებული დარღვევის მასშტაბი და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნა მისი ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის შესახებ; სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა ფირმამ ოფიციალურად გააფორმოს ურთიერთობის შეწყვეტის ფაქტი.

- ⊙ **ფირმამ საკითხის შესახებ აცნობა აუდიტის კომიტეტს.** ფირმამ დარღვევისა და მისი ანალიზის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია დამკვეთის აუდიტის კომიტეტს. ინფორმაციის მიწოდების ვადები შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა: დარღვევის აღმოჩენის მომენტიდან მოკლე ხანში (აგრეთვე შემდგომი კომუნიკაცია, როდესაც ფირმა დაასრულებდა აღმოჩენილი დარღვევის ანალიზს); ანალიზის დასრულებისა და დარღვევის გამოსწორების შემდგომ, ან წესი 3526(ბ)-ის შესაბამისად ინფორმირების ფარგლებში.
- ⊙ **აუდიტის კომიტეტმა განცალკევებით შეაფასა ფირმის გადაწყვეტილება.** დამკვეთის აუდიტის კომიტეტმა, ფირმის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, განცალკევებით შეაფასა ინფორმაცია, რათა დაედგინა შეეძლო თუ არა ფირმას ობიექტური და მიუკერძოებელი განსჯის გამოყენება გარიგების ყველა საკითხთან მიმართებით. დამკვეთის აუდიტის კომიტეტს მნიშვნელოვანი როლი აქვს დამკვეთის ინვესტორების ინტერესების წარმოდგენის პროცესში, განსაკუთრებით ანალიზის იმ ნაწილში, რომელიც „კეთილგონიერ ინვესტორს“ შეეხება.⁸
- ⊙ **აუდიტის კომიტეტი და ფირმა შეთანხმდნენ გააგრძელონ აუდიტორული გარიგება.** აუდიტის კომიტეტის მიერ განცალკევებით ჩატარებული შეფასების შემდეგ, აუდიტის კომიტეტი და ფირმა შეთანხმდნენ გააგრძელონ აუდიტორული გარიგება.

მას შემდეგ, რაც ჩატარებული ინსპექტირებების გარკვეულ შემთხვევებში ეს საკითხი წარმოიშვა, არაერთმა ფირმამ მოითხოვა 3526(ბ) წესით მათზე ისეთ გარემოებებში დაკისრებული ვალდებულებების დამატებით განმარტება, სადაც ადგილი ჰქონდა ერთ ან მეტ დარღვევას და ფირმამ და დამკვეთის აუდიტის კომიტეტმა დაადგინეს, რომ გარიგების გაგრძელება შესაძლებელი იყო.

ამ საკითხის გადაწყვეტის მიზნით და იმ პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელიც საფუძველად უდევს ამ სფეროში მოქმედ წესებსა და პრაქტიკას,⁹ PCAOB-ის პერსონალმა ფირმებისთვის 3520 და 2526(ბ)(3) წესების გამოყენებასთან დაკავშირებით მოამზადა წინამდებარე გზამკვლევი.

PCAOB-ის პერსონალს მიაჩნია, რომ აღნიშნული გზამკვლევი ხელს შეუწყობს ფირმასა და აუდიტის კომიტეტს შორის (ან ნებისმიერი სხვა ურთიერთობის) ჯანსაღ კომუნიკაციას, რომელიც შესაბამისობაში იქნება 3526 წესით (Rule 3526) გათვალისწინებულ ძირეულ პრინციპებთან. თუმცა, აღნიშნული გზამკვლევი არ შეეხება იმ საკითხს, მიიღებს თუ არა SEC-ი ფინანსურ ანგარიშგებას იმ აუდიტორის დასკვნით, რომელმაც დაარღვია დამოუკიდებლობის წესები, მაგრამ არ დაუკარგავს ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. ეს საკითხი შედის SEC-ის, აუდიტის დამკვეთისა (მისი აუდიტის კომიტეტის ჩათვლით) და ფირმის კომპეტენციაში.¹⁰ შესაბამისად, PCAOB-ის პერსონალი ამ თემასთან დაკავშირებით აზრს არ გამოთქვამს.

⁸ იხილეთ, მაგალითად, 1934 წლის საფონდო ბირჟის აქტის (Securities Exchange Act) განყოფილება - 10A(m)(2) (სადაც აღნიშნულია, რომ „თითოეული ემიტენტის (ანგარიშვალდებული სუბიექტის) აუდიტის კომიტეტი, როგორც დირექტორთა საბჭოს კომიტეტი, უშუალოდ უნდა იყოს პასუხისმგებელი ამ ემიტენტის მიერ ნებისმიერი რეგისტრირებული აუდიტორული ფირმის დანიშვნაზე, ანაზღაურებასა და სამუშაოს ზედამხედველობაზე ... აუდიტორული დასკვნის ან დაკავშირებული სამუშაოს მომზადების ან გამოცემის მიზნებისთვის...“)

⁹ ფირმას ან აუდიტის დამკვეთს, აუდიტის კომიტეტის ჩათვლით, შეუძლიათ გაიარონ კონსულტაცია SEC-ის პერსონალთან დამოუკიდებლობის საკითხებთან დაკავშირებით ფირმისა და აუდიტის დამკვეთის მიერ შესაბამისი დასკვნების გაკეთების თაობაზე. იხილეთ SEC-ის მიერ მომზადებული შემდეგი დოკუმენტი - *Auditor Independence Matters* - შემდეგ მისამართზე: <https://www.sec.gov/page/oca-auditor-independence-matters#>. PCAOB-ის პერსონალს ესმის, რომ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით, SEC-ის პერსონალი, გარკვეულ სიტუაციებში, უშეუბნებლად, რომ ფირმამ განაგრძოს დამკვეთის აუდიტორის ფუნქციის შესრულება, როდესაც ფირმას შეუძლია გამოიყენოს ობიექტური და მიუკერძოებელი განსჯა გარიგების ყველა საკითხთან მიმართებით. იხილეთ, მაგალითად, გამოცემა No. 33-10491 – *Auditor Independence with Respect to Certain Loans or Debtor-Creditor Relationships* - (2018 წლის 2 მაისი) გვერდი 43 („როგორც ზემოთ იქნა განხილული, კომისიის პერსონალმა გამართა კონსულტაციები აუდიტორულ ფირმებთან, ფონდებთან და მოქმედ კომპანიებთან სასესიო ურთიერთობების დებულების გამოყენებასთან დაკავშირებით . . . ამ განხილვებისას ასევე გამოვლინდა, რომ გარკვეულ სცენარებში/ვითარებაში, რომელშიც სასესიო ურთიერთობის დებულება იქნა გამოყენებული, საავალდებულო აუდიტისა და შუალედური მიმოხილვის განხორციელებისას აუდიტორის ობიექტურობა და მიუკერძოებლობა არ დარღვეულა.“).

¹⁰ გადაწყვეტილება გარიგების გაგრძელების შესახებ, როდესაც ფირმა SEC-ის ან PCAOB-ის დამოუკიდებლობის წესებთან თანხვედრაში არ არის, ქმნის რისკს, რომ აუდიტის დამკვეთის მიერ წარდგენილი განაცხადი, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს რეგულაცია S-X-თან შესაბამისობაში მყოფ ფინანსურ ანგარიშგებას, შესაძლოა ჩაითვალოს არასრულყოფილად — და, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამგვარი არასრულყოფილება ფირმამ გამოიწვია.

პერსონალის კითხვა-პასუხი

1. იმ წელს, როდესაც ფირმის აუდიტის დამკვეთის¹¹ მიმართ, ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების არსებობა დაფიქსირდა ერთჯერ ან მეტჯერ, როგორ შესაძლებელია ფირმა აუდიტის კომიტეტის ყოველწლიურ ინფორმირებასთან დაკავშირებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს 3526(ბ)(3) წესის გათვალისწინებით?

ფირმა 3526 წესს დაიცავდა იმ შემთხვევაში თუ იგი:

- ა. მოკლე შეჯამების სახით აუდიტის კომიტეტის მიაწვდიდა ინფორმაციას წლის განმავლობაში არსებული თითოეული დარღვევის შესახებ;
- ბ. მოკლე შეჯამების სახით აუდიტის კომიტეტის მიაწვდიდა ინფორმაციას ფირმის მიერ ჩატარებული ანალიზის შესახებ, იმაზე თუ რატომ დაასკვნა ფირმამ, რომ თითოეული დარღვევის შემთხვევაში მათი არსებობის მიუხედავად, არ დარღვეულა მისი ობიექტურობა და მიუკერძოებლობა გარიგების არცერთ საკითხთან მიმართებით, და რატომ მიიჩნევს ფირმა, რომ ყველა შესაბამისი ფაქტისა და გარემოების მცოდნე კეთილგონიერი ინვესტორი დაასკვნის, რომ ფირმას შეეძლო ობიექტური და მიუკერძოებელი განსჯის გამოყენება გარიგების ყველა საკითხთან მიმართებით;
- გ. თუ წლის განმავლობაში ერთზე მეტი დარღვევა არსებობდა, აუდიტის კომიტეტის ცალკეული ანალიზის სახით წარუდგენდა ინფორმაციას, იმის შესახებ თუ რატომ დაასკვნა ფირმამ, მიუხედავად ერთად აღებული ყველა დარღვევისა, რომ მისი ობიექტურობა და მიუკერძოებლობა არ დარღვეულა და რატომ მიიჩნევს ფირმა, რომ ყველა შესაბამისი ფაქტისა და გარემოების მცოდნე კეთილგონიერი ინვესტორი დაასკვნის, რომ ფირმას შეეძლო ობიექტური და მიუკერძოებელი განსჯის გამოყენება გარიგების ყველა საკითხთან მიმართებით;
- დ. ჩაერთვებოდა დიალოგში აუდიტის კომიტეტთან დარღვევ(ებ)ისა და ფირმის მიერ ჩატარებული ანალიზის თაობაზე (როგორც ეს აღწერილია ზემოთ მოცემულ (ა) - (გ) პუნქტებში);
- ე. დოკუმენტურად დაადასტურებდა ფირმის მიერ აუდიტის კომიტეტთან გამართული განხილვ(ებ)ის შინაარსობრივ მხარეს (როგორც ეს აღწერილია ზემოთ მოცემულ (დ) პუნქტში); და
- ვ. აუდიტის კომიტეტს წერილობითი სახით დაუდასტურებდა იმას, რომ, გარდა აშკარად გამოვლენილი დარღვევ(ებ)ისა, ფირმა ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას 3520 წესის შესაბამისად. მაგალითად, ფირმას შეუძლია აირჩიოს შემდეგნაირი ფორმულირება: „ჩვენ დავასკვნით, რომ ჩვენ ობიექტურობა და მიუკერძოებლობა არ დარღვეულა გარიგების არცერთ საკითხთან მიმართებით და მიგვაჩნია, რომ ყველა შესაბამისი ფაქტისა და გარემოების მცოდნე კეთილგონიერი ინვესტორი დაასკვნის, რომ ჩვენ შეგვიძლია ობიექტური და მიუკერძოებელი განსჯის გამოყენება გარიგების ყველა საკითხთან მიმართებით. გარდა აშკარად გამოვლენილი და თქვენთან განხილული დარღვევ(ებ)ისა [როგორც წარმოდგენილია ზემოთ/ XX/XX/XXX-ით დათარიღებულ კომუნიკაციებში], ფირმა რჩება დამოუკიდებელი 3520 წესის შესაბამისად.“

მოცემული მიდგომა შესაძლოა გამოყენებული იყოს ფირმის არსებულ პრაქტიკებში, რომლებიც ეხება 3526-ე წესის (ბ)(1), (ბ)(2) და (ბ)(4) პუნქტებთან შესაბამისობას.

¹¹ მოცემულ გზამკვლევაში ჩამოყალიბებული მიდგომა გამოიყენება მხოლოდ იმ სიტუაციებში, როდესაც აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებში გათვალისწინებული თითოეული ელემენტი დაკმაყოფილებულია.

2 წესი 3526(ბ)(3) ეხება „ინფორმირების თარიღს.“ თუ დარღვევა გამოსწორდება ფირმის მიერ 3526(ბ)(3) წესის შესაბამისად აუდიტის კომიტეტთან კომუნიკაციამდე, შეუძლია თუ არა ფირმას, კითხვა-პასუხის 1-ელ პუნქტში აღწერილი კომუნიკაციის განხორციელების ნაცვლად, დამკვეთის აუდიტის კომიტეტს უბრალოდ დაუდასტუროს, რომ ფირმა დამოუკიდებელია?

არა. 3526(ბ)(3) წესში მოცემულია მოთხოვნა, რის მიხედვითაც ფირმამ უნდა დაადასტუროს, რომ იგი „დამოუკიდებელია 3520 წესის შესაბამისად.“ იმ წელს, როდესაც ფირმის აუდიტის დამკვეთის მიმართ, ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების არსებობა დაფიქსირდა ერთჯერ ან მეტჯერ, 3526(ბ)(3) წესის მიხედვით დადასტურება, მხოლოდ იმისა, რომ ფირმა დამოუკიდებელია 3520 წესის შესაბამისად — და სხვა არაფერი — არაზუსტი იქნება და ფირმამ იგი ამგვარად არ უნდა წარადგინოს. ფირმა 3526(ბ)(3) წესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დაიცავს ყველა პროცედურას და აუდიტის კომიტეტს მიაწვდის ინფორმაციას ისე, როგორც ეს აღწერილია ზემოთ მოცემული კითხვა-პასუხის 1-ელ პუნქტში.

3 თუ ფირმა, ერთ ან მეტ დარღვევასთან დაკავშირებით დამკვეთის აუდიტის კომიტეტს მიაწვდის ინფორმაციას ისე, როგორც ეს აღწერილია ზემოთ მოცემული კითხვა-პასუხის 1-ელ პუნქტში, მათ შორის ფირმის მიერ გაკეთებული ანალიზის ჩათვლით, რომლის მიხედვითაც მისი ობიექტურობა და მიუკერძოებლობა არ დარღვეულა და თუ აუდიტის კომიტეტი დარღვევებს განცალკევებით შეაფასებს და ფირმა და აუდიტის კომიტეტი გადაწყვეტენ გარიგების გაგრძელებას, გამოასწორებს თუ არა ეს ფირმის მიერ 3520 წესის დარღვევის ფაქტს?

არა. კითხვა-პასუხის 1-ელ პუნქტში მოცემული ინსტრუქცია ეხება მხოლოდ ფირმასა და დამკვეთის აუდიტის კომიტეტს შორის კომუნიკაციას 3526 წესის მიზნებისთვის. ეს არ ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- დაირღვა თუ არა გარიგებასთან დაკავშირებით PCAOB-ის ან SEC-ის მიერ დადგენილი დამოუკიდებლობის კრიტერიუმები - ეს ფირმისა და აუდიტის კომიტეტის განსახილველი საკითხია და, რომლის მიმართაც, გარკვეულ გარემოებებში ფირმამ და აუდიტის კომიტეტმა, მათ მიერ გამოტანილი დასკვნების თაობაზე, შესაძლოა SEC-ის პერსონალთან კონსულტაციის გავლა გადაწყვიტონ; ან
- დანიშნავს თუ არა აუდიტის დამკვეთი ახალ დამოუკიდებელ აუდიტორს - ეს ფირმისა და აუდიტის კომიტეტის შესაფასებელი საკითხია და, რომლის მიმართაც, გარკვეულ გარემოებებში ფირმამ და აუდიტის კომიტეტმა, მათ მიერ გამოტანილ დასკვნების თაობაზე, შესაძლოა SEC-ის პერსონალთან კონსულტაციის გავლა გადაწყვიტონ.

4 თუ დარღვევა გამოვლინდა წინა აუდიტის პერიოდში და გათვალისწინებული იყო იმ პერიოდის 3526(ბ)(3) წესით განსაზღვრულ კომუნიკაციის პროცესში, მაგრამ ჯერ ისევ ამ პერიოდის პროფესიული გარიგების ნაწილია, უნდა დაიცვას თუ არა ფირმამ კითხვა-პასუხის 1-ელ პუნქტში აღწერილი პროცედურები და ჩართოს თუ არა წინა დარღვევა აუდიტის კომიტეტისთვის მიმდინარე წელს მიწოდებულ ინფორმაციაში?

თუ დარღვევა მიმდინარე წლამდე აღმოიფხვრა და არ გამოვლენილა დამატებითი ფაქტები, რომლებიც შეცვლიდა წინა დარღვევის გამოსწორებით მიღებულ შედეგს, მაშინ ფირმას აღარ დასჭირდება დარღვევის კიდევ ერთხელ აღწერა მიმდინარე წლის 3526(ბ)(3) წესით განსაზღვრული კომუნიკაციის პროცესში და დარღვევა ფირმას ხელს არ შეუშლის დამკვეთის აუდიტის კომიტეტს დაუდასტუროს, რომ ფირმა, ინფორმირების თარიღისთვის, არის დამოუკიდებელი 3520 წესის შესაბამისად.

თუ დარღვევა სრულად ვერ აღმოიფხვრა ან მიმდინარე წელს წარმოიშვა ახალი, იმავე სახის დარღვევა, ან თუ აუდიტის კომიტეტისთვის ადრე მიწოდებული ფაქტები შეიცვალა ან სჭირდება შევსება, მაშინ ფირმამ დარღვევა უნდა შეიტანოს მიმდინარე წლის 3526(ბ)(3) წესით გათვალისწინებულ კომუნიკაციის პროცესში, ისე როგორც ეს მოცემულია კითხვა-პასუხის 1-ელ პუნქტში.

5 თუ კითხვა-პასუხის 1-ელ პუნქტში მოცემული პროცედურები შესრულდა აუდიტის დამკვეთთან მიმართებით — მათ შორის, ფირმამ და აუდიტის კომიტეტმა დაასკვნეს, რომ ფირმის ობიექტურობა და მიუკერძოებლობა არ დარღვეულა — უნდა შეცვალოს თუ არა ფირმამ აუდიტორის დასკვნის ფორმულირება აუდიტის სტანდარტის 3101-ის (AS 3101 – The Auditor’s Report on an Audit of Financial Statements When the Auditor Expresses an Unqualified Opinion) - „აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ, როდესაც აუდიტორი გამოხატავს უპირობო მოსაზრებას“- მიზნებისთვის?

არა. ფირმას შეუძლია უცვლელად გამოიყენოს აუდიტის სტანდარტ 3101-ის 06 და 09(ზ) პუნქტებით (AS 3101.06 / AS 3101.09(გ)) გათვალისწინებული ფორმულირება. აუდიტის სტანდარტ 3101-ის 06 პუნქტი (AS 3101.06) ადგენს აუდიტორის დასკვნის შესაბამის სახელწოდებას („Report of Independent Registered Public Accounting Firm“); იგი არ წარმოადგენს 3520 წესთან შესაბამისობის კონკრეტულ მტკიცებას. ანალოგიურად, აუდიტის სტანდარტი 3101-ის 09(ზ) პუნქტი შეეხება განაცხადს სამართლებრივი მოთხოვნების თაობაზე და არა მასთან შესაბამისობის მტკიცებას.¹² თუმცა, ეს კითხვა-პასუხი შეეხება მხოლოდ ფირმის შესაბამისობას აუდიტის სტანდარტ 3101-თან (AS 3101).

თარგმანი მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სრული პასუხისმგებლობით.

PCAOB არ არის პასუხისმგებელი თარგმნილი დოკუმენტის შინაარსსა და თარგმანის სიზუსტეზე. ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში მკითხველმა უნდა მიმართოს დოკუმენტის ორიგინალ, ინგლისურ ვერსიას.

The translation has been prepared under the full responsibility of Service for Accounting, Reporting and Auditing Supervision (SARAS). PCAOB bears no responsibility for the content of the document or for the accuracy of the translation. In case of doubt the reader should refer to the original English version of the document.

დარჩით კავშირზე საბჭოსთან



მოგვმართეთ სტანდარტთან დაკავშირებული კითხვებით



გამოგვიწერეთ პროექტთან დაკავშირებით სიახლეების მისაღებად



LinkedIn



@PCAOBNews

¹² იხილეთ PCAOB-ის გამოცემა No. 2017-001 (2017 წლის 1 ივნისი), გვერდი 50 („განაცხადი აუდიტორის დამოუკიდებლობის შესახებ, მიზნად არ ისახავს (არც ახლა და არც მომავალში) მოახდინოს რაიმე გავლენა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონების, SEC-ის ან PCAOB-ის წესებით გათვალისწინებულ აუდიტორის დამოუკიდებლობის მოთხოვნებზე“).